

უაკ

## ქართული ტრადიციული მუსიკა და ქართველთა ეთნოგენეზი

ნინო მაისურაძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.  
მელიქიშვილის ქ. №10

### ანოტაცია:

*ქართული ტრადიციული მუსიკა, მისი მრავალხმიანობა უკავშირდება კავკასიაში ოდესღაც მცხოვრები მონათესავე ტომების ანუ ქართველური ტომების სახელს, რომლებიც იმ უძველეს ხანაში ფართო ტერიტორიაზე იყვნენ განფენილნი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კავკასიური ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში.*

*საკვანძო სიტყვები: ტრადიციული მუსიკა, ეთნოგენეზი.*

ეთნოსი სოციალური წარმონაქმნია და საზოგადოებრივი ერთობის გამოხატულება. იგი ჩამოყალიბებულია გარკვეულ ბუნებრივ გარემოში ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფების თანაცხოვრებისა და საწარმოო, სოციალური თუ სულიერი ურთიერთობის პროცესში. ამგვარი თანაცხოვრებისა და ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებული სპეციფიკური კულტურა, რომელიც ამა თუ იმ ხალხის ფსიქიკური წყობის ერთობაშია საძიებელი, ერთი გარკვეული ენის საფუძველზეა წარმოქმნილი.

ენა არის ხალხის ანუ ეთნოსის, როგორც სოციალური ორგანიზმის ძირითადი ეთნიკური ნიშანი. ენობრივი ჩვეულება მოიცავს მოცემულ ენაზე წარმოთქმული ბგერების, ბგერათა შეერთების წესებისა და შესაძლებლობების გარდა, სიტყვის თანმხლები ემოციის თავისებურებას, რომელიც ადამიანთა ერთი გარკვეული ჯგუფისათვის, მოგვიანებით ეთნოსისათვის არის დამახასიათებელი<sup>1</sup>.

გასაზიარებელია მკვლევართა მოსაზრება მუსიკალური ენის სამეტყველო ინტონაციებიდან მომდინარეობის შესახებ, მყარი ბგერული სიმალღეების სამეტყველო ინტონაციათა სფეროში ჩასახვის შესახებ<sup>2</sup>. საგულისხმოა, რომ მუსიკალური აზროვნების განვითარების უადრეს საფეხურებზე მეტყველების ბგერათა აკუსტიკურ და ფიზიოლოგიურ (არტიკულაციურ) თავისებურებებს, მის ინტონაციურ, მელოდიურ-რიტმულ მხარეს არსებითი როლი უნდა შეესრულებინა – თავდაპირველი მუსიკალური ინტონაციურ-აზრობრივი ერთეულის ჩამოყალიბებაში.

სიტყვიერი ტექსტის აზრობრივი დატვირთვა მოიცავს გარკვეულ ბუნებრივ გარემოში, პიროვნების თუ ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფის მიერ ამა თუ იმ მოვლენის შეგრძნებით აღქმას და შესაბამის სულიერ განცდას, რომელიც შესატყვის სამეტყველო ინტონაციებში მქლავნდება და უშუალოდ ზემოქმედებს ჰანგის ჩამოყალიბებაზე.

ცხადია, მუსიკალური ენის ჩამოყალიბება უშუალო კავშირშია გეოგრაფიულ გარემოსთან, სოციალურ ფსიქოლოგიასთან და ესთეტიკასთან. მას, როგორც ეთნოსის მახასიათებელ ერთ-ერთ ძირითად ეთნიკურ ნიშანს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეთნოგენეზის საკითხების კვლევაში.

ნიშანდობლივია, რომ ქართველურ ენებში სხვა ენობრივი სამყაროდან ოდესღაც შეთვისებული სიტყვები ქართველური ენების ინტონაციურ არეში ექცევიან და

ადგილობრივი ხასიათის ინტონაციურ ცვლილებებს განიცდიან.

ქართველური ტომებისათვის საერთო მუსიკალური ფუძე-ენის ინტონაციური საფუძველი კვარტის დიაპაზონის მქონე ჰანგია. ვარიანტებში წარმოდგენილია მეტ-ნაკლებად განსხვავებული რიტმულ-ინტონაციური ჟღერადობით და გაფართოებულია კვინტამდე (სექსტამდე, სეპტიმამდე, ოქტავამდე – მოგვიანებით ხდება ემოციურ საწყისზე დამყარებულ ამ ბგერათა მუსიკალურ-აზრობრივი დატვირთვა). ფუძე-ჰანგი, რომელშიც თავს იყრის ადრე არსებული ყველა მუსიკალურ-სმენითი მონაპოვარი, უნივერსალურია. ამასთანავე იგი გარკვეული სტრუქტურის მქონე ინტონაციურ არეში თავსდება და გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფონოლოგიური და მორფოლოგიური წყობით. აქვე დავძენთ, რომ კვარტის დიაპაზონის ათვისება უადრეს მუსიკალურ კულტურათა ისტორიაში აღიარებულია დიდი მნიშვნელობის ფაქტად: “მომიჯნავე” ტონების ინტონირებიდან (რეჩიტატივი სეკუნდურ-ტერციული დიაპაზონის ფარგლებში) გადასვლა ხდება იმ ინტონაციების გამოყენებაზე, რომლებიც წარმოიქმნებიან ობერტონული ნათესაობის საფუძველზე და გამოირჩევიან მეტი აზრობრივი დიაპაზონით. ბგერათა მიმართების ობერტონული ნათესაობის “ათვისება” ბგერითი მასალის ობიექტური თავისებურებების ხარისხობრივად მრავალფეროვანი გამოყენების საშუალებას იძლევა. ამ თავისებურებებს, განსხვავებით “გარეგანისაგან”, უწოდებენ “შინაგანს”, რადგან ისინი მუსიკალური ხერხებით ეხმარებიან გახსნან სინამდვილის შინაგანი კავშირები. ადამიანი აფართოებს რა მის მიერ გამოყენებული ტონების დიაპაზონს და აღწევს კვარტას, დიდხანს ჩერდება მასზე. ეს აიხსნება არა მხოლოდ სამეტყველო ინტონაციებთან მისი დიაპაზონის შესატყვისობით, არამედ, უმთავრესად იმით, რომ კვარტა პირველია იმ ინტერვალთაგან, რომლებიც მიღებულია “ინტონაციური არის” თანდათანობითი გაფართოების პროცესში, ობერტონული ნათესაობის მქონე ინტერვალთა გამოყენების საფუძველზე<sup>3</sup>.

საერთო ქართველური მუსიკალური ფუძე-ენა, ფუძე-ჰანგი ჩამოყალიბდა იმ უძველესი რწმენა-წარმოდგენების ამსახველ რიტუალებში, რომლებიც იმთავითვე დაკავშირებული იყო ქართველთა წინაპრების ყოფასთან. ამ მხრივ აღსანიშნავია ასტრალურ და, განსაკუთრებით კი, მიცვალებულის კულტებთან დაკავშირებული საფერხულოები და დატირებანი.

ფუძე-ჰანგის ნიშანდობლივი ხასიათი მკვეთრად მჟღავნდება სახადის (წითელა, ყვავილა) კულტთან დაკავშირებულ საწესო-საფერხულო სიმღერაში “იავნანა” (“ბატონების ნანა”, “საბოდიშო”), რომლის მელოდია ერთ-ერთი უძველესი, მაგრამ ამასთანავე განვითარების გარკვეული ეტაპია ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ისტორიაში. არქეოლოგიური მონაცემებით ნანას კულტის, როგორც ნაყოფიერების ღვთაების ჩამოყალიბება, ნეოლით-ენეოლითის ხანას უკავშირდება<sup>4</sup>. მუსიკალურ-ინტონაციური თავისებურებანი, რომლებიც ქართველურ ტომთა ეთნიკური განვითარების პროცესში ყალიბდება და საბოლოოდ მუსიკალური ფუძე-ენის სახით წარმოგვესახება, “იავნანას” მელოდიაში განვითარების გარკვეულ დონეს აღწევს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც მას ენიჭება ქართული ხალხური მუსიკის განვითარების მომდევნო საფეხურებზე. მრავალი საწესო, შრომის თუ საყოფაცხოვრებო სიმღერა “იავნანას” ინტონაციურ არეში ექცევა<sup>5</sup>.

მუსიკალურ-ეთნოგრაფიული მასალიდან მკაფიოდ ჩანს საყოფაცხოვრებო ტრადიციის არსებითი როლი ქართული ხალხური მუსიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, **მუსიკალური ჟანრების ფორმირებაში**<sup>6</sup>. სიმღერა საწესო მოქმედებათა კომპლექსში შემაგალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტთაგანია. იგი გარკვეული

შინაარსის შემცველია და ყოფის ცალკეული მხარეების ამსახველი. ფუძე-ჰანგის ინფილტრაციამ ყოფის სხვადასხვა სფეროში, გამოიწვია მისი სემანტიკური ტრანსფორმაცია: ცვლილებებს განიცდის მუსიკალური ტექსტის ფორმა და შინაარსი, შესრულების ხასიათი და ბოლოს, ყალიბდება თვისობრივად ახალი, განსხვავებული სასიმღერო ნიმუშები, რომლებიც ზოგად ქართულ მუსიკალურ სტრუქტურაში გარკვეულ ადგილს იმკვიდრებენ.

ამგვარად, მუსიკალური აზროვნების განვითარების უადრეს საფეხურებზე გააზრებული ინტონირება, დატვირთული ადამიანთა გარკვეული ჯგუფის შინაგანი სამყაროს გამომსახველობის თავისებურ ხერხთა ერთობით, უფრო მოგვიანებით წარმოქმნის იმ მუსიკალურ-ეთნიკურ თავისებურებას, რომელიც ეროვნული ფსიქოლოგიის სტრუქტურულ ელემენტად წარმოგვიდგება.

ქართული ხმიერი მუსიკის ხნიერებაზე, თავის მხრივ, ქართული ხალხური საკრავები მიუთითებენ. სასიმღერო ჰანგები უნდა ასახულიყო ისეთ უძველეს საკრავზე, როგორც სალამურია. სამთავროს ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი ეს საკრავი დათარიღებულია ძვ. წ. XV-XIV საუკუნეებით. ყაზბეგსა და უფლისციხეში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი არფისებური საკრავები, აგრეთვე ქართული (სვანური) ჩანგი, შუმერული არფის მონათესავედაა მიჩნეული, რომელიც ძვ. წ. IV-III ათასწლეულებით თარიღდება. უფრო მეტიც, ძველი ქართული ძაღებისანი საკრავი ებანი იმეორებს შუმერული არფის არქაულ სახელწოდებას “PAN” ან “BAN” (მშვილდი). ეგვიპტეში იგი უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი ban, ben ან bain-ის სახელით<sup>7</sup>.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან ყურადღებას იქცევს ვერცხლის თასი თრიალეთიდან, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანით თარიღდება<sup>8</sup>. ძეგლი საინტერესოა იმ მხრივ, რომ ზოგიერთმა მკვლევარმა (დ. ჯანელიძე, ლ. გვარამაძე) თასზე ასახულ კომპოზიციაში საფერხულო ქმედება ამოიკითხა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ რიტუალური კომპოზიცია თასზე “სადიდებელთაის” წესის ეპიზოდს გამოხატავს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა გადმონათურმა მასალამ შემოგვინახა<sup>9</sup>. ამ მოსაზრების გაზიარების შემდეგ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ “ღვთის კარზე” ღვთისშვილთა დგომის წესში, თასის შემქმნელისაგან უეჭველად გააზრებულია აგრეთვე წრიული საფერხულო წყობა. მით უმეტეს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სოციალურ-რელიგიური ყოფის ამსახველ გადმონათურ მასალაში საღვთისმსახურო წესებს მუდამ თან ახლავს საწესო საფერხულო სიმღერა, რომლის წარმოთქმა ჯვარ-ხატების მსახურთა ხვედრი იყო. თრიალეთის ვერცხლის სასმისზე ასახული რიტუალური კომპოზიცია, რომელიც პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის ხანას უკავშირდება, ქართველურ ტომთა ეთნიკურ კუთვნილებადაა აღიარებული<sup>10</sup>. თუ გავითვალისწინებთ, ფერხულის ხნიერებას, ადვილად წარმოსადგენია რაოდენ მარტივი სტრუქტურის მქონე მუსიკალური მასალა უნდა ასახულიყო საფერხულო სიმღერაში ოდესღაც, საზოგადოების განვითარების ზემოთ აღნიშნულ ხანაში.

ქართული ხალხური სიმღერა მრავალხმიანია და მრავალხმიანობის მქონე კულტურებში მუსიკალური ენა მოიცავს მელოდიურ-ინტონაციურ და ჰარმონიულ ელემენტთა ერთობის შედეგად მიღებულ მუსიკალურ-ეთნიკურ თავისებურებას, რომელიც ამ ელემენტთა განვითარების პროცესში ყალიბდება. ქართველურ ტომთათვის საერთო მუსიკალურ ფუძე-ენაში მუსიკალური აზრის დამაბოლოებელი ბგერა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რამეთუ იგი ამ ჰანგის საყრდენი ბგერაა, ღერძია,

რომლის მიმართ ყალიბდება ბგერათა ურთიერთმიმართების გარკვეული კანონზომიერებანი და, რომელიც ამასთანავე დასაბამს აძლევს გაბმული ბანის მქონე (ბურდონულ) მრავალხმიანობას. ამგვარად, ხმიერი მრავალხმიანობის ჩასახვანვითარებას, მისი, როგორც მუსიკალური ელემენტის გააზრებას, მუსიკალური აზროვნების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ეძლევა ბიძგი, კერძოდ, მაშინ, როცა უკვე ჩამოყალიბებულია ძირითადი მუსიკალურ-ბგერითი ფონდი და მრავალხმიანობა გააზრებულია როგორც მუსიკალურ ბგერათა შეხამების გარკვეული ფორმა.

მკვლევართაგან ჯეროვნად არის შესწავლილი და დადგენილი ქართული მრავალხმიანობის განვითარების საფეხურები ფარული ორხმიანობიდან მაღალგანვითარებულ ფორმებამდე (დ. არაყიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, შ. ასლანიშვილი, გრ. ჩხიკვაძე, ვლ. ახოზაძე, ევ. ჭოხონელიძე და სხვ.) მუსიკალური მასალის თუ ტერმინოლოგიის ინტერპრეტაცია საფუძველს გვაძლევს ქართული მრავალხმიანობის (და აქედან გამომდინარე, საზოგადოდ მრავალხმიანობის) სტადიალურობა ვადიაროთ. სხვა ფაქტიურ მონაცემებთან ერთად მრავალხმიანობის სტადიალურობაზე მიგვანიშნებს საქართველოს მთისა და ბარის სიმღერების ინტონაციური და ჰარმონიული განვითარების განსხვავებული დონეები. მთიელთა სასიმღერო შემოქმედება განიხილება როგორც კულტურული კომპლექსის ნაწილი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერი კულტურის ისტორიასთან. ამასთანავე მთიელთა ხმიერი და საკრავიერი მუსიკა ორგანულად უკავშირდება ბარის მუსიკალურ კულტურას. მასში რელიეფურად ვლინდება სიმღერის სოციალურ-რელიგიური ასპექტი, აგრეთვე ქართველი ხალხის წინაპართა მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველესი შრეები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ქართული ხალხური სიმღერისა და მისი მრავალხმიანობის წარმოშობა-განვითარების უადრესი ეტაპების რეკონსტრუქციისათვის.

მრავალხმიანობის სტადიალურობის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიის, ეთნოგენეზის კვლევისას.

ქართული მრავალხმიანობის ერთ-ერთი უძველესი ეტაპია მუსიკალური ფუძე-ენის წიაღში ბურდონული (გაბმული ბანის მქონე) მრავალხმიანობის (ორხმიანობის) შემდეგ მრავალხმიანობის კომპლექსური (ხმათა პარალელური მოძრაობა) ფორმის ჩასახვა, რომლის მატარებელი ქართული, სვანურენოვანი მოსახლეობა იყო. მრავალხმიანობის (სამხმიანობის) ამ ფორმამ არსებითი როლი შეასრულა მუსიკალური ფუძე-ენის დიფერენციაციაში. მასალები საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ კომპლექსური მრავალხმიანობის (სამხმიანობის) ჩასახვა, ბურდონული ორხმიანობის შემდეგ, მუსიკალური ფუძე-ენის დონეზე ხდება, რაც თავის მხრივ, ქართული მრავალხმიანობის ხნიერებაზე მეტყველებს.

მრავალხმიანობის კომპლექსური ფორმის ჩამოყალიბებამ სვანურ ტომებში განაპირობა თავდაპირველად სვანური მუსიკალური დიალექტის განცალკევება საერთო ქართველურიდან. იმ უძველესი ხანისათვის კომპლექსური მრავალხმიანობა ფართო ტერიტორიაზე ჩანს განფენილი. მრავალხმიანობის ამ სახეობის გავრცელებამ დასავლეთ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა მუსიკალური კულტურის დასავლურ-ქართულ წრეს და, ამგვარად, ჩამოყალიბდა ქართული მუსიკალური კულტურის ორი დიდი წრე: აღმოსავლური და დასავლური. ქართველურ ტომთა მუსიკალური აზროვნების განვითარების ამ დიდმნიშვნელოვან ეტაპს უკავშირდება აღმოსავლურქართული და დასავლურქართული, აგრეთვე გარდამავალი მუსიკალური დიალექტების ანუ კილოების ჩამოყალიბება. საინტერესოა ქართველი ხალხის

ეთნიკური ისტორიის რომელ პერიოდს უკავშირდება საერთო ქართველური მუსიკალური ფუძე-ენის არსებობა და მისი დიფერენციაცია. ლინგვისტური მონაცემებით, ქართველურ ენათა ფუძე-ენის არსებობას ძვ. წ. III ათასწლეულში ვარაუდობენ<sup>11</sup>. გაზიარებულია გ. დეეტერსის მოსაზრება ქართველურ ენათა ფუძე-ენიდან თავდაპირველად სვანურის გამოცალკევებისა და შემდეგ, ერთხანს, ქართულ და მეგრულ-ჭანური (ზანური) ენობრივი ერთობის არსებობის შესახებ. გამოთქმულია ვარაუდი ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში სვანური ეთნიკური ჯგუფის ენობრივი და ამასთანავე ფაქტიური განცალკევების შესახებ ქართულ-ზანური ჯგუფისაგან<sup>12</sup>. უფრო მოგვიანებით წამოყენებული მოსაზრების მიხედვით ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში ქართველურ მიგრაციათა პირველ ტალღას დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით, კოლხეთის დაბლობისაკენ, საერთო ქართველურის დასავლურქართულ დიალექტთაგან, ძვ. წ. III ათასწლეულში უნდა გამოეყო ერთ-ერთი მათგანი და სათავე უნდა დაედო სვანური ენის ჩამოყალიბებისათვის. ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში უნდა დაშლილიყო ქართულ-ზანური ერთობა<sup>13</sup>. არქეოლოგიური მონაცემებით, ქართველური ერთობის დაშლის საწყისები ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოშია საძებარი. ქართველური ერთობის დაშლა მტკვარ-არაქსის კულტურის დასავლეთით განფენას უკავშირდება. ქართველური ენობრივი ერთობა დღევანდელ აღმოსავლეთ საქართველოს და მის მიმდგომ მხარეებში გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურის თავისებურ ვარიანტს მოიცავდა. ამ კულტურის დასავლეთ საქართველოში გავრცელებამ საფუძველი ჩაუყარა საერთო ქართველური ფუძე-ენის აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტურ ჯგუფებს, რასაც საბოლოოდ საერთო ქართველურიდან სვანურის, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულის ჩამოყალიბება მოყვა<sup>14</sup>. სვანური ტომების დასავლეთ საქართველოში გადანაცვლება აუცილებელი პირობა იყო, რომელსაც საერთო ქართველური მასიდან ამ ტომთა ენობრივი მოწყვეტა უნდა გამოეწვია<sup>15</sup>. მუსიკალური ენისა და სამეტყველო ენის სინკრეტიზმი მუსიკალური აზროვნების განვითარების უადრეს საფეხურებზე, ფუძე-ჭანგის ხნიერება და მისი ადგილი ხალხურ ყოფაში უფლებას გვაძლევს საერთო ქართველური მუსიკალური ფუძე-ენის არსებობა და მისი დიფერენციის დასაწყისი მიახლოებით მკვლევართა მიერ ზემოთ წარმოდგენილ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოვათავსოთ.

მუსიკალური კულტურის დასავლურქართული წრის ჩამოყალიბება, რომელიც, როგორც ჩანს, ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდს მოიცავდა, თავის მხრივ, მიგვანიშნებს სვანურ ტომთა განსახლებაზე დასავლეთ საქართველოში. ნიშანდობლივია, რომ ენობრივი მონაცემებით II ათასწლეულსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში ვარაუდობენ სვანურ ტომთა ფართოდ გავრცელებას დასავლეთ საქართველოს არა მხოლოდ მთიან, არამედ ბარის რაიონებში<sup>16</sup>. აღმოსავლეთ საქართველოში სვანურის კვალი თავს იჩენს მოხეურ სიმღერებში. ხევი ერთ-ერთი საინტერესო რეგიონთაგანია მუსიკალური კულტურის აღმოსავლურქართულ წრეში. მასში, აღმოსავლეთ საქართველოს მთის სიმღერებისათვის დამახასიათებელ მელოდიურ-ინტონაციურ და ჰარმონიულ თავისებურებებთან ერთად, ბარის (ქართლ-კახური) სიმღერების (განსაკუთრებით “იავნანას” მელოდიის) მნიშვნელოვანი გავლენა შეინიშნება. სვანოზმები მუსიკალურ სფეროში ვლინდება რიტმული ბანისა და ზედა ხმის, ან ზედა ორი ხმის ჟღერადობაში. ხმათა ანალოგიური შეხამება მთიულეთშიც დგინდება.

სვანურ ტომთა განსახლებას თანამედროვე რაჭის ტერიტორიაზე მოწმობს სვანთა მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველესი შრეების არსებობა რაჭულში. ამასთანავე რელიეფურად ჩანს რაჭულის (ქვემო, ზემო და ნაწილობრივ მთის რაჭის)

მჭიდრო კავშირი აღმოსავლურქართულ სამყაროსთან. ამ მხრივ საყურადღებოა რაჭულის კავშირი არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს ბართან, არამედ მთის რეგიონებთან. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ რაჭულის ძირები მუსიკალური კულტურის აღმოსავლურქართული წრის წიაღშია საძიებელი. სიმპტომატურია, რომ რაჭულში შეღწეული სვანური სიმღერების უძველესი ფორმები რელიქტის სახით შემოინახა. ეს მოსაზრება მეტ დამაჯერებლობას იძენს უკანასკნელ ხანს ჩატარებული გამოკვლევებით<sup>17</sup>.

მეგრულ მუსიკალურ მასალაში ჩანს უძველესი მელო-ინტონაციური ფენა, რომელიც უეჭველად მუსიკალური კულტურის აღმოსავლურქართულ წრეს უკავშირდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ფენის მუსიკალურ-სემანტიკური სიახლოვე აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სიმღერებთან, რომლებშიც რელიეფურად იჩენს თავს აღმოსავლურქართული მუსიკალური წრისათვის დამახასიათებელი მელოდიის უძველესი ფორმები. საგულისხმოა გარკვეულ ისტორიულ ხანაში ქართულ-ზანური მუსიკალური ერთობის არსებობა. ზემოხსენებული ინტერპრეტაციის შემდგომ, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მეგრული მუსიკალური დიალექტი უფრო გვიან გამოეყო საერთო-ქართველურ მუსიკალურ ფუძე-ენას, ვიდრე სვანური. აღსანიშნავია, რომ უძველესი წერილობითი წყაროები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ. წ. XIII-XII საუკუნეებიდან კოლხეთის (აია-კულხას) სამეფოს არსებობას ადასტურებენ. იგი განიხილება როგორც ქართულ-ზანური მოსახლეობის გაერთიანება, რომელიც მოიცავდა აგრეთვე ისტორიული კოლხეთის ჩრდილოეთ რაიონებში მცხოვრებ სვანურ ტომებსაც<sup>18</sup>.

ვფიქრობთ, რომ მუსიკალური მონაცემები არანაკლებ საინტერესოა ჩანს უძველესი ხანის ისტორიული სურათის აღდგენისათვის. რამდენადაც მრავალხმიანობის კომპლექსური ფორმის ჩასახვა-ჩამოყალიბება სვანური ტომების სახელს უკავშირდება, სავსებით ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ დასავლეთ საქართველოს მუსიკალურ ყოფაში მრავალხმიანობის ამ ფორმას მნიშვნელოვანი როლი ადრიდანვე, მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველეს ეტაპებზე უნდა შეესრულებინა. აქვე დავძენთ, რომ თუ **სვანური და მეგრული ქართველურ ენებად ყალიბდებიან, ქართულ მუსიკალურ ფუძე-ენას ისინი მხოლოდ მუსიკალური დიალექტების დონეზე გამოეყოფიან.**

მუსიკალური დიალექტების ჩამოყალიბება მჭიდროდ უკავშირდება ქართველური ეთნიკური ჯგუფის დიფერენციაციას, ცალკეული კუთხეების ანუ ეთნოგრაფიული ჯგუფების ჩამოყალიბებას. თავდაპირველად ისინი მსხვილ ერთეულებს შეადგენენ, რომლებიც თანდათან იშლებიან და შედარებით მცირე ერთეულებად ყალიბდებიან. მუსიკალური დიალექტების სეგმენტაციის პროცესი ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდს მოიცავდა. ამავე დროს ამა თუ იმ დიალექტის ჩამოყალიბება გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მიმდინარეობდა. ზოგი მათგანის განცალკევება შორეულ ხანაშია სავარაუდო, ზოგის – რამდენადმე უფრო გვიან, რამაც განაპირობა ცალკეულ მუსიკალურ დიალექტთა შორის მელო-ინტონაციურ და ჰარმონიულ ელემენტთა ურთიერთმიმართების კონკრეტული ფორმების მეტ-ნაკლები სიახლოვე.

ამგვარად, მუსიკალურ-ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის შედეგები საშუალებას იძლევა ვაჩვენოთ ოდესღაც ქართველურ ტომთათვის საერთო მუსიკალური ფუძე-ენა, მისი განვითარებისა და ამასთანავე დიფერენციაციის პროცესი, მუსიკალური დიალექტების წარმოქმნა, რაც თავისებურად ასახავს ერთობლივი ქართველური ეთნოსის არსებობას და მის დიფერენციაციას; ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფების (კუთხეების) ჩამოყალიბებას. ქართველური მუსიკალური ფუძე-ენის არსებობის ხანაში

ბურდონული მრავალხმიანობის შემდეგ, მრავალხმიანობის კომპლექსური ფორმის ჩასახვა; მუსიკალური კულტურის ორი დიდი წრე: აღმოსავლურქართული და დასავლურქართული; სვანურ ტომთა მნიშვნელობა მუსიკალური კულტურის დასავლურქართული წრის ჩამოყალიბებაში. ქართული ხალხური მუსიკის შემდგომი განვითარების საერთო გზა, რომელმაც საბოლოოდ განაპირობა ერთიანი ქართული მუსიკალური კულტურის არსებობა.

რაც შეეხება აფხაზურ მუსიკალურ ენას, მის მიმართებას ქართულთან, მუსიკალური აზროვნების განვითარების ადრეულ ეტაპზე აფხაზური ქართველურ ტომთათვის საერთო მუსიკალური კულტურის არეალში შედიოდა. მუსიკალური აზროვნების განვითარების ერთ-ერთ უძველეს, მაგრამ შემდგომ ეტაპზე აფხაზური სიმღერები მელოდიურ-ინტონაციურად უშუალო კავშირს ავლენენ აღმოსავლურქართულ, ფშავ-ხევსურულ (ფხოურ) სიმღერებთან. დამახასიათებელი თავისებურებანია: მელოდიის დადმავალი მიმართულება, ძირითადად ეოლიურ ან ფრიგიულ კილოებში; გლისანდირებული ბგერები ფრაზის თუ წინადადებების ბოლოს; ფრაზის შინაგანი გაფართოება წინადადებამდე; ფრაზების შემაერთებელი ბგერა. მელოდიის შემდგომი განვითარება-გაფართოების შედეგად (ყალიბდება რეგიონალური მელოდიურ-ინტონაციური და ჰარმონიული თავისებურებანი), თავდაპირველი მელოდიური ქსოვილი ინაცვლებს სიმღერის დასაწყისში, ან დასკვნით ნაწილში. ზოგ შემთხვევაში იგი მთელ სიმღერაზე ვრცელდება. ბანი გაბმულია, რიტმული ან მოძრავი, მაგრამ ბანის ამ სახეობათა შორის ძირითადი ბურდონული (გაბმული) ბანია. მოძრავი ბანის არსებობა აფხაზურ სიმღერებში მრავალხმიანობის კომპლექსური ფორმის გავლენის შედეგია. აფხაზურ ორხმიანობაში მოძრავი ბანის გავრცელებამ განაპირობა, უფრო მოგვიანებით, აფხაზურისათვის დამახასიათებელი მრავალხმიანობის თავისებური ფორმის ჩამოყალიბება<sup>19</sup>. სამხმიანობის არსებობა ახსნილია ქართულის – მეგრულ-სვანურის გავლენით<sup>20</sup>.

აფხაზურ სიმღერებში, ქართულის ანალოგიურად, ხშირად გამოიყენება მარტივი, გაფართოებული, რთული, ფრიგიული და ქართული (ეოლიური) კადანსები. აღსანიშნავია კვარტული კადანსი – ქართული ხალხური სიმღერებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უძველესი სახეობა კადანსებისა, რომელსაც აფხაზურში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ზოგ სიმღერაში იგი წარმოდგენილია ბანის მოძრაობით კვარტით ქვემოთ. საკადანსო ფორმულების შედარებითმა ანალიზმა ნათლად გვიჩვენა, რომ აფხაზურში გავრცელებული რთული მოდულაციური კვარტული კადანსი ფორმით და შინაარსით ენათესავება ქართულში არსებულ რთულ მოდულაციურ კვარტულ კადანსს. ამ კადანსის ერთ-ერთი ნაირსახეობა აფხაზურში წარმოქმნილია ბანში ბგერათა გადანაცვლებით. იგი მოგვიანებით ჩამოყალიბდა თვითმყოფადი კადანსის სახით. კადანსთა შორის ერთ-ერთი უძველესი ფორმა – კვარტული, რომელიც რთული მოდულაციური კვარტული კადანსის შემადგენელი ელემენტია, საერთოა ქართულ-აფხაზური სიმღერებისათვის. აფხაზურ სიმღერებში, რომლებშიც წარმოდგენილია რთულ მოდულაციურ კვარტულ კადანსთა სახე-სხვაობანი, მაჟორულ-მინორული სისტემის ჩანასახი ჩნდება, უფრო მეტიც, შეინიშნება ამ სისტემის შერწყმა აფხაზური ხალხური სიმღერებისათვის დამახასიათებელ ჰარმონიულ კანონზომიერებასთან.

ნათელია, რომ მუსიკალური აზროვნების განვითარების ადრეულ ეტაპზე აფხაზური ქართველურ ტომთათვის საერთო მუსიკალური კულტურის არეალში შედიოდა. მუსიკალური მონაცემებით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ საერთო ქართ-

ველური მუსიკალური ენიდან თავდაპირველად იგი მუსიკალურ დიალექტის დონეზე განცალკევდა. გარდა რეგიონალური თავისებურებებისა, აფხაზურში შეინიშნება უცხო მუსიკალური კულტურის ელემენტთა შემოღწევა. აქედან გამომდინარე, სპეციფიკურ ნიშანთა ზრდასთან ერთად, როგორც ჩანს, სულ უფრო ღრმავდებოდა აფხაზურის, როგორც საერთო ქართველურის ერთ-ერთი მუსიკალური დიალექტის დივერგენციის პროცესი, რაც საბოლოოდ ქართული მუსიკალური კულტურის არეალში შემაჯავლი, ქართულის მონათესავე აფხაზური მუსიკალური ენის ჩამოყალიბებით დასრულდა<sup>21</sup>.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ფიქრობენ, რომ ამიერკავკასია და, საერთოდ, კავკასია ძველი ქვის ხანის ადრეულ საფეხურზე წინა აზიის უძველესი ადამიანის გავრცელების სფეროში შედიოდა და შესაძლოა, მისი ჩრდილო, პერიფერიული ნაწილი იყო. ძველი ქვის ხანის ძეგლები ამიერკავკასიაში ადგილობრივი კულტურის საფუძველზეა წარმოქმნილი<sup>22</sup>. აღნიშნულია ბუნებრივი გარემოს გადამწყვეტი როლი ლოკალური თავისებურებების წარმოქმნაში. კავკასიის ნეოლითი ადგილობრივი, წინარე კულტურის საფუძველზეა აღმოცენებული, ოღონდ როგორც ერთ-ერთი შემადგენელი, პერიფერიული ნაწილი წინა აზიის უძველესი სამიწათმოქმედო ცენტრისა, მასთან ახლო ურთიერთობაში ვითარდებოდა. ამ ხანაში მთელ კავკასიაში მიმდინარეობს ტომთა ფართო განფენა, იქმნება მონათესავე ტომებისაგან შემდგარი მოზრდილი ეთნიკური ჯგუფები და, შესაბამისად, ერთგვაროვანი დიდი არქეოლოგიური კულტურები, რომელთა დიდ ტერიტორიაზე განფენა თანდათანობით დაშორებას იწვევდა და კავკასიური ენობრივი და კულტურული ერთობის გათიშვის საფუძველს ქმნიდა. ფიქრობენ, რომ V ათასწლეულში ეს ერთობა უკვე დაშლილი უნდა ყოფილიყო<sup>23</sup>. ადრე ბრინჯაოს ხანაში, რომელიც მთელ III ათასწლეულს მოიცავს, საბოლოოდ ყალიბდება კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ეთნიკური ჯგუფები<sup>24</sup>. ანთროპოლოგიური კვლევა-ძიების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ანთროპოლოგიური ტიპების უწყვეტი მემკვიდრეობითობა ენეოლითის მიწურულიდან დღემდე, ქართველთა წინაპრების ადგილობრივი, ავტოქტონური წარმომავლობის მაჩვენებელი უნდა იყოს. სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს, დასავლეთ აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიებზე ანალოგიური ტიპების არსებობა და მათი ეპოქალური ტრანსფორმაციის ერთი მიმართულება, ამ რეგიონის უძველესი მოსახლეობის ერთიან გენეტურ წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს<sup>25</sup>. ლინგვისტური მონაცემებით იბერიულ-კავკასიური ენები მიჩნეულია მონათესავე ენებად, მაგრამ ამავე დროს გაჩნდა საპირისპირო მოსაზრებაც<sup>26</sup>. მუსიკალური მონაცემები, თავის მხრივ, შუქს ჰფენს კავკასიაში მცხოვრები უძველესი მოსახლეობის ეთნოგენეზის პრობლემას.

ქართულ-ჩრდილოკავკასიური მუსიკალური მონაცემები – ინტონაციურ და ჰარმონიულ ელემენტთა ერთგვაროვნება მუსიკალური აზროვნების განვითარების უადრეს საფეხურზე, მრავალხმიანობის ფორმები, ტიპოლოგიური მსგავსება განვითარების შემდგომ პროცესში, საერთო კავკასიური მუსიკალურ-ინტონაციური ხასიათი - მეტყველებენ კავკასიის ტერიტორიაზე ოდესღაც საერთო მუსიკალური კულტურის არსებობაზე, რომლის შექმნაში ძირძველ, ადგილობრივ მოსახლეობას უნდა მიეღო მონაწილეობა<sup>27</sup>. მუსიკალური მასალა მკაფიოდ წარმოაჩენს ქართველურ ტომთა განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მის წამყვან როლს ამ კულტურის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებაში, რომელიც ძირითადად კავკასიური მუსიკალურ-ინტონაციური და ჰარმონიული აზროვნების ფარგლებში მიმდინარეობდა. იმ უძველეს ხანაში, როგორც ჩანს, ქართველური ტომები ფართო ტერიტორიაზე იყვნენ განფენილნი.



ამ ტომთა მუსიკალურმა აზროვნებამ სუბსტრატის როლი შეასრულა საერთო კავკასიური მუსიკალური კულტურის შექმნაში. უფრო მოგვიანებით მიმდინარეობს საერთო კავკასიური მუსიკალური კულტურის დაშლა. ეს პროცესი ქართულის მონათესავე ჩრდილოკავკასიური მუსიკალური ენების ჩამოყალიბებით დასრულდა.

მუსიკალური მონაცემებით კავკასიის ტერიტორიაზე ოდესღაც მოსახლე მონათესავე ტომები ემთხვევა ზოგადად, ქართველურის სახელწოდებით ხსენებულ ტომებს, რომელთა კავკასიაში გავრცელების არეალი, როგორც ჩანს, თანდათან იზღუდებოდა. ნიშანდობლივია, რომ ზემოხსენებულ ტომთა მუსიკალური აზროვნების განვითარების თანმიმდევრულ, უწყვეტ სურათს მხოლოდ ქართული მუსიკალური მასალა იძლევა, რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილოკავკასიური მუსიკალური ენები, როგორც გენეტურად, ისე კულტურულ-ისტორიული კავშირებით<sup>28</sup>.

ძველი საქართველო უფრო ვრცელი სამყაროს ორგანული, მაგრამ თავისთავადი ნაწილია. ამ სამყაროს შეადგენს ვიწრო ასპექტში – კავკასია, ფართო ასპექტში – ძველი აღმოსავლეთი, რომელთა სხვა კომპონენტებს საქართველო უკავშირდება მრავალრიცხოვანი და ნაირსახოვანი გენეტური და ისტორიული კავშირებით<sup>29</sup>.

ქართველი ხალხის წინაპართა ოდითგანვე მჭიდრო ისტორიულ-კულტურული კონტაქტები წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან მუსიკალურ სფეროში, კერძოდ, მუსიკალური ნიმუშების უძველეს შრეებში, მუსიკალურ ტერმინებსა და საკრავებში აისახა. ეს მონაცემები უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ კავკასია ოდესღაც წინააზიური მუსიკალური კულტურის არეალში შედიოდა. ამასთანავე ყალიბდება ამ კულტურის კავკასიური ვარიანტი, რომლის წარმოქმნა კავკასიაში მრავალხმიანობის ჩასახვა-განვითარებით აღინიშნება<sup>30</sup>.

რაც შეეხება ქართულ-ხმელთაშუაზღვისპირულ ურთიერთობებს, მუსიკალურ-ეთნოგრაფიული მასალის ანალიზმა, შესაძლოა საყურადღებო შედეგები მოგვცეს. ქართულ-ხმელთაშუაზღვისპირული მრავალხმიანობის ერთობის დასაბუთების შემთხვევაში, მრავალხმიანობის კერად, უეჭველია, კავკასია, კერძოდ, საქართველოა საგულისხმო. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ანალიზი ქართული ხალხური სიმღერის წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების თანმიმდევრულ, უწყვეტ სურათს იძლევა, რაც უდაოდ ნიშნავს იმას, ქართული ხალხური მუსიკა და მისი მრავალხმიანობის ჩამოყალიბება-განვითარება ადგილობრივ ნიადაგზე მიმდინარეობდა<sup>31</sup>. ნიშანდობლივია, რისმაგ გორდუზიანის მოსაზრება იმის შესახებ, რომ კავკასიურ-მედიტერანული მიმართებების დიდი ნაწილი ძვ. წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე დაწყებული კავკასიური მიგრაციებით აიხსნება. პელასგები, რომელნიც ბერძნული მითოლოგიური ტრადიციის მიხედვით ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ჩნდებიან ასპარეზზე, არიან სწორედ ამ ემიგრანტთა მემკვიდრეები. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ ქართველური ელემენტები თავს იჩენს არა მარტო ეგვიპტეში, არამედ ყველგან, სადაც ტრადიციის მიხედვით პელასგები გავრცელებულან, მათ შორის ეტრურიაშიც, რაზეც ეტრუსკულ ენობრივ მასალაში ქართველური ტიპის კომპონენტის დადასტურება მიუთითებს<sup>32</sup>.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საერთო ქართველური მუსიკალური ენიდან მომდინარე წინაქრისტიანული ხანის ჰანგები იძენენ იმ მუსიკალურ-ეთნიკურ თავისებურებას, რომელიც ეროვნული ფსიქოლოგიის სტრუქტურული ელემენტია, აქედან გამომდინარე, ეს ჰანგები უცილობლად უნდა დასდებოდა საფუძვლად ქართულ საეკლესიო საგალობლებს, ანუ ჰიმნოგრაფიას დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რა

ფუნქციის მატარებელი იყო იგი წინაქრისტიანულ ხანაში. საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა თამაზ გამყრელიძის მინიშნება იმის შესახებ, რომ აღმოსავლური ქრისტიანობა ქრისტიანულ რწმენას წარმართ ხალხთა შორის ავრცელებდა ადგილობრივ ხალხთა ენებზე<sup>33</sup>.

ამგვარად, თუ მუსიკალური მონაცემებით ვიმსჯელებთ, ქართული ტრადიციული მუსიკა, მისი მრავალხმიანობა უკავშირდება კავკასიაში მცხოვრები მონათესავე ტომების ანუ ქართველური ტომების სახელს, რომლებიც იმ უძველეს ხანაში ფართო ტერიტორიაზე იყვნენ განფენილნი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კავკასიური ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1978, გვ. 45-49; ზ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 46-47.
2. საკითხთან დაკავშირებით იხ. ე. ჭობონელიძე, ქართული ხალხური სიმღერის ფოლკლორის საფუძვლების შესახებ. // ქართული ხალხური მუსიკის კილო, მელოდია და რიტმი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 1983, გვ. 9-10.
3. Р. И. Грубер, История музыкальной культуры, I, М., 1941, с. 50.
4. ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 154-177.
5. შ. ასლანიშვილი, ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, I, თბ., 1954, გვ. 136-163, ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, გვ. 11-12, 67; მისივე, Древнейшие этапы развития грузинской народной музыки, Тб., 1990, с. 49-58.
6. ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და ..., გვ. 27-41.
7. В. М. Беляев, К вопросу изучения грузинских народных инструментов, Тб., 1936, с. 39; F. W. Galpin, The muzik of the sumerians, Cambridge, 1937, p. 27, 28, 34, 35, 70; К. Закс, Музыкальная культура древнего мира, Л., 1937 с. 98; ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 315; გრ. ჩხიკვაძე, ქართული სამუსიკო საკრავი ებანი და მისი რაობა, მსე, VII, 1955, გვ. 56-57; მ. შილაკაძე, ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, თბ., 1970, გვ. 57; И. Хашба, Абхазские народные музыкальные инструменты, Сухуми, 1979, с. 75.
8. В. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, Тб., с. 87-92, ХСІ, ХСІІ.
9. В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, с. 248-249.
10. В. В. Бардавелидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 252.
11. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 71; მისივე, ქართველები და მათი წარმომავლობის საკითხი, იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 338-341; ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, თბ., 1976, გვ. 292.
12. გ. მელიქიშვილი, ქართველები და მათი წარმომავლობის საკითხი, გვ. 340-341; ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 293-294.
13. Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тб., 1984, с. 880-881, 909.
14. ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 294-295.
15. თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 19.
16. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 341; გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და ... გვ. 50-66; თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 11, 20.
17. К. Накашидзе, Музыкальная культура горцев Западной Грузии (по музыкально-этнографическим материалам Рачи), Диссертация, Тб., 1987.
18. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და... გვ. 68-93; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 389, 395, 422; თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 176-182.
19. ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული

- ასპექტები, გვ. 55-56; მისივე, მუსიკალური მონაცემები ქართველთა და აფხაზთა ეთნიკური ისტორიისათვის, ანალები, 1999, <sup>1</sup>1, გვ. 62-64.
20. В. Ахобадзе, Предисловие, См. сб. «Абхазские песни», составители В. Ахобадзе, И. Кортва, Москва, 1957, с. 134.
21. ნ. მაისურაძე, მუსიკალური მონაცემები ქართველთა და აფხაზთა ეთნიკური ისტორიისათვის, ანალები, გვ. 65-68.
22. თ. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, თბ., 1976, გვ. 19-20.
23. თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 17-18, 43, 46.
24. თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 93.
25. მ. აბდუშელიშვილი, ანთროპოლოგიური მონაცემები და ქართველი ხალხის წარმოშობისა და ჩამოყალიბების პრობლემა, ხელეური, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XXII, თბ., 1985, გვ. 39.
26. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937; ა. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; მისივე, თბილისის უნივერსიტეტი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII, თბ., 1970. გვ. 14; თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 027; მოსაზრებანი ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა წარმომავლობის შესახებ ვრცლად არის წარმოდგენილი თ. ჯაფარიძის ნაშრომში “ქართველ ტომთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის”, თბ., 1976, გვ. 252-267.
27. Н. М. Маисурадзе, Проблемы генезиса, становления и развития грузинской народной музыки, Автореферат, Тбилиси, 1983, с. 28-36, 46-50; ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, გვ. 56-62.
28. შდრ. ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, გვ. 72.
29. ს. ჯანაშია, საზოგადოებრივი მეცნიერებანი საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-20 წლისთავზე, ენიმკის მოამბე, თბ., 1937. იხ. ა. ავაქიძე, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი გზა, თბ., 1972, გვ. 94.
30. ნ. მაისურაძე, მუსიკალურ-ეთნოლოგიური მონაცემები ქართულ-წინააზიურ ურთიერთობათა შესახებ // ოჩხარი, ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 2002, გვ. 258-264.
31. ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, გვ. 71-72.
32. რ. გორდეზიანი, ბერძნული ცივილიზაცია, თბ., 1988, გვ. 24; მისივე, ეტრუსკული და ქართველური, თბ., 1980.
33. გამყრელიძე, ქრისტიანობა და ძველი ქართული კულტურა და დამწერლობა // ლოგოსი, II, თბ., 2004, გვ. 14.

სტატია მიღებულია: 2005-01-15